ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

5004966120

№ 5004966120

27/08/2020 წ.

თბილისის პროკურატურის საგამოძიებო
სამმართველოს უფროს გამომძიებელს

თეა აფთარაშვილს

ქალბატონო თეა,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N13/01-48857 მომართვის (ბიუროს 2020 წლის 24 აგვისტოს რეგისტრაციის N1005531920) საფუძველზე, სს N036190720002 საქმეზე, გიგზავნით ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის N005092220 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 04 ფურცლად;

ნივთმტკიცება 02 (ორ) პაკეტად.

პატივისცემით,

გიორგი მურვანიძე
ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

5004966120

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანხ[illegible] ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი ____________

თარიღი 27.08.20 (ხელმოწერა) ბ.ა.

NATIONAL FORENSICS BUREAU

005092220

ექსპერტის დასკვნა № 005092220

## გაფრთხილება

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

## ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზა

აკრედიტირებულია „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის" მიერ; აკმაყოფილებს ეროვნული სტანდარტის სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 მოთხოვნებს; აკრედიტაციის მოწმობის № GAC-TL-0166.

**დამნიშნავი:**

სტრუქტურა: თბილისის პროკურატურა

ქვესტრუქტურა: საგამოძიებო ნაწილი

თანამდებობა: უფროსი გამომძიებელი

სახელი და გვარი: თეა აფთარაშვილი

დოკუმენტის შემდგენი პირი: თეა აფთარაშვილი

საფუძველი: მომართვა, დადგენილება

სისხლის სამართლის საქმის ნომერი: 036190720002

**შემსრულებელი ექსპერტები:**

ეკატერინე სხირტლაძე / ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 6 წლის სტაჟით.

## ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

„1) თამარ ბაჩალიაშვილის გვამიდან აღებული ბიოლოგიური მასალა - კუნთის ქსოვილის ნიმუში, ვარგისია თუ არა გენეტიკური საექსპერტო გამოკვლევის ჩასატარებლად?

2) დადებით შემთხვევაში, გთხოვთ, განსაზღვროთ გამოსაკვლევად წარმოდგენილი გვამური მასალის: თამარ ბაჩალიაშვილის გვამის კუნთის ქსოვილის გენეტიკური პროფილი.

3) ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი, თ. ბაჩალიაშვილის მშობლებს: დედის - თეონა თამაზაშვილის (პ/ნ: 01016004414) პირის ღრუდან აღებული ნერწყვის ნიმუში და მამის -ჯუმბერი ბაჩალიაშვილის (პ/ნ 1400100620) პირის ღრუდან აღებული ნერწყვის ნიმუში ვარგისია თუ არა გენეტიკური გამოკვლევის ჩასატარებლად?

4) დადებით შემთხვევაში, ნათესაური კავშირის განსაზღვრის მიზნით, გთხოვთ, თეონა თამაზაშვილის (პ/ნ: 01016004414) პირის ღრუდან აღებული ნერწყვის ნიმუშის გენეტიკური პროფილი და მამის - ჯუმბერი ბაჩალიაშვილის (პ/ნ 1400100620) პირის ღრუდან აღებული ნერწყვის ნიმუშის გენეტიკური პროფილი შეგვიდაროთ გვამური მასალის: თამარ ბაჩალიაშვილის გვამის კუნთის ქსოვილის გენეტიკურ პროფილთან და მოგვცეთ კატეგორიული დასკვნა არსებული ნათესაური კავშირის თაობაზე."

საქმის გარემოება

თამარ ბაჩალიაშვილის თავისუფლების უკანონო აღკვეთის და თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე.

შემოსვლის თარიღი: 24/08/2020 წ

გასვლის თარიღი: 27/08/2020 წ

## დასკვნა

თამარ ბაჩალიაშვილის გვამიდან აღებული კუნთის ფრაგმენტი (პაკეტი, წარწერით: „...თამარ ბაჩალიაშვილის გვამიდან აღებული კუნთის ნიმუში...") ეკუთვნის ჯუმბერ ბაჩალიაშვილისა (ობ.N1; პაკეტი, წარწერით: „...ნერწყვის ნიმუში აღებული იქნა ჯუმბერი ბაჩალიაშვილის პირის ღრუდან...") და თეონა თამაზაშვილის (ობ.N2; პაკეტი, წარწერით: „...თეონა თამაზაშვილის პირის ღრუდან აღებული იქნა ნერწყვის ნიმუში...") მდედრობითი სქესის ბიოლოგიურ შვილს.

ეკატერინე სხირტლაძე

## გამოკვლევა

**პაკეტი N1.** შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური დეპარტამენტის სპეცდანიშნულების პოლიეთილენის დალუქული პაკეტი, შტრიხკოდით: „FCD 1277449" და წარწერით: „1 036190720002 19 08 2020 **ნერწყვის ნიმუში აღებული იქნა ჯუმბერი ბაჩალიაშვილის პირის ღრუდან.** ადვოკატი მ. რამიშვილი (გაურკვეველი ხელმოწერა) მირიან დევაძე (გაურკვეველი ხელმოწერა) დ. გულბანი (გაურკვეველი ხელმოწერა) ლ. ქვანია (გაურკვეველი ხელმოწერა) ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს N402 ოთახი აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ-ზე ნერწყვის ნიმუშის აღება თამარი ბაჩალიაშვილის თავისუფლების უკანონო აღკვეთის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტი ჯ. ბაჩალიაშვილი (გაურკვეველი ხელმოწერა)". პაკეტში აღმოჩნდა თეთრი ფერის მუყაოს კოლოფი, შიგ არსებული ერთი ცალი სპეცდანიშნულების ჩხირით, რომლის ბამბიანი ბოლოდან გაკეთდა ამონაჭერი - ობ.N1.

**პაკეტი N2.** შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური დეპარტამენტის სპეცდანიშნულების პოლიეთილენის დალუქული პაკეტი, შტრიხკოდით: „FCD 1278949" და წარწერით: „036190720002 19.08 2020 **თეონა თამაზაშვილის პირის ღრუდან აღებული იქნა ნერწყვის ნიმუში** სპეციალურ ბამბისთავიან ბიოლოგიურ ჩხირზე მირიან დევაძე (გაურკვეველი ხელმოწერა) ადვოკატი მ. რამიშვილი (გაურკვეველი ხელმოწერა) დ. გულბანი (გაურკვეველი ხელმოწერა) ლ. ქვანია (გაურკვეველი ხელმოწერა) ქ. თბილისის პროკურატურა საგამოძიებო სამმართველოს დავით აღმაშენებლის მე 12 კილომეტრი N8 თამარი ბაჩალიაშვილის თავისუფლების უკანონო აღკვეთის და თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე ნერწყვის ნიმუშის აღება თ. თამაზაშვილი (გაურკვეველი ხელმოწერა)". პაკეტში აღმოჩნდა თეთრი ფერის მუყაოს კოლოფი, შიგ არსებული ერთი ცალი სპეცდანიშნულების ჩხირით, რომლის ბამბიანი ბოლოდან გაკეთდა ამონაჭერი - ობ.N2.

**პაკეტი N3.** სეებ-ის სპეცდანიშნულების პოლიეთილენის დალუქული პაკეტი, შტრიხკოდით: „0001442" და წარწერით: „კუნთის ნიმუში გამომიებას 6 შსს ქვ. ქართლის პოლიციის დეპარტამენტი **თამარ ბაჩალიაშვილის გვამიდან აღებული კუნთის ნიმუში** 1 შპრიცით გამომიებას 036190720002 1004682120 გიორგი ოქრუაშვილი 22.07.20 წ.". პაკეტში აღმოჩნდა 10 მლ-იანი, ერთჯერადი, სამედიცინო შპრიცი, რომელშიც მოთავსებულია ქსოვილოვანი ფრაგმენტი.

შენიშვნა: ბიოლოგიურ ნათესაური კავშირის დადგენის მიზნით, გამოყენებული იქნა სს N036190720002 საქმეზე, 2020 წლის 24 ივლისს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების დეტექტივ-გამომძიებლის - გია უსტარაშვილის N GN0000373289GG მომართვით (სეებ-ის რეგ. N1004747420) და N TX0000373254MM დადგენილებით, წარმოდგენილი თამარ ბაჩალიაშვილის გვამური მასალისგან (პაკეტი N3 - კუნთის ნიმუში) მიღებული გენეტიკური პროფილი.

**კვლევის დამთავრების შემდეგ, ნივთმტკიცება დაილუქა 02 (ორ) პაკეტად, ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტის, ე. სხირტლაძისა მიერ.**

### ბირთვული დნმ-ის გამოყოფა [1]

ობ.N1,2-დან დნმ-ის ექსტრაქცია განხორციელდა 5%-იანი Chelex 100-ით და პროტეინაზა K (10mg/ml) მეშვეობით.

### დნმ-ის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება -RT-PCR [1]

კვლევისათვის გამოყენებულ იქნა რეალურ დროში მოქმედი პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის ხელსაწყო 7500 RT-PCR (Applied Biosystems), ადამიანის დნმ-ის რაოდენობის განსაზღვრის ნაკრები (Investigator®Quantiplex®Pro Kit, QIAGEN). რეაქციის დასრულების შემდეგ, შედეგები გაანალიზდა პროგრამის "HID Real-Time PCR Analysis Software v.1.2" (Applied Biosystems)

მეშვეობით.

## პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია - PCR [1]

პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციისათვის გამოყენებულ იქნა ადამიანის დნმ-ის ტიპირებისათვის განკუთვნილი ნაკრები AmpF/STR® IdentifilerPlus®PCR Amplification Kit (Applied Biosystems), 15 STR და სქესის განმსაზღვრელი ერთი ლოკუსისათვის.

## კაპილარული ელექტროფორეზი - CE [1]

ელექტროფორეზისათვის გამოყენებულ იქნა რვაკაპილარიანი ანალიზატორი 3500 Genetic Analyzer (Applied Biosystems), პროცესის წარმართვისათვის - სპეციალური კომპიუტერული პროგრამა - "3500 Series Data Collection Software 2". შედეგები გაანალიზდა კომპიუტერული პროგრამის - Gene Mapper® ID-X მეშვეობით. ფეროგრამის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

| STR | ჯუმბერ ბაჩალიაშვილი ობ. N1 | თეონა თამაზაშვილი ობ. N2 | თამარ ბაჩალიაშვილის კუნთის ფრაგმენტი |
|---|---|---|---|
| D8S1179 | 13 14 | 12 13 | 13 |
| D21S11 | 29 31,2 | 28 31,2 | 29 31,2 |
| D7S820 | 8 | 9 11 | 8 11 |
| CSF1PO | 11 | 11 12 | 11 12 |
| D3S1358 | 15 16 | 16 17 | 15 17 |
| TH01 | 6 7 | 9 | 6 9 |
| D13S317 | 11 | 10 11 | 11 |
| D16S539 | 11 12 | 9 11 | 11 12 |
| D2S1338 | 19 23 | 17 18 | 17 23 |
| D19S433 | 15,2 | 13 14 | 14 15,2 |
| vWA | 17 20 | 18 19 | 19 20 |
| TPOX | 8 10 | 8 | 8 |
| D18S51 | 12 20 | 12 17 | 12 |
| AMEL | X Y | X | X |
| D5S818 | 12 13 | 11 13 | 11 12 |
| FGA | 20 23 | 19 | 19 20 |

## გენეტიკური და სტატისტიკური ანალიზი [1]

ჯუმბერ ბაჩალიაშვილისა (ობ. N1) და თეონა თამაზაშვილის (ობ.N2) გენეტიკური პროფილების ალელები შედარდა თამარ ბაჩალიაშვილის გვამიდან აღებული კუნთის ფრაგმენტის გენეტიკურ პროფილს და იდენტური ალელების გამოყენებით, გამოითვალა ბიოლოგიური მშობლობის ინდექსი (PI) ფორმულით: PI=2p-p2. გამოყენებულ იქნა კავკასიურ პოპულაციაში თითოეული ალელის გავრცელების სიხშირე (p). PI კუმულაციური (CPI) გამოითვალა ფორმულით: CPI=PI1×PI2×…PI15 [1].

**ჯუმბერ ბაჩალიაშვილის (ობ. N1) ბიოლოგიური მამობის** ალბათობა თამარ ბაჩალიაშვილის მიმართ, გამოითვალა ფორმულით: PP=(1-CPI)×100% და 99.99999% შეადგინა;

**თეონა თამაზაშვილის (ობ. N2) ბიოლოგიური დედობის** ალბათობა თამარ ბაჩალიაშვილის მიმართ, გამოითვალა ფორმულით: PP=(1-CPI)×100% და 99.99997% შეადგინა.

## ხარისხის უზრუნველყოფა და კონტროლი

გამოყენებული ქიმიური რეაგენტების სისუფთავისა და მათი ხარისხის შემოწმების მიზნით, საკვლევ დნმ ნიმუშებთან ერთად, გაანალიზებულ იქნა ექსტრაქციის ნეგატიური კონტროლი (ნიმუში, დნმ-ის გარეშე). საკვლევ ნიმუშებთან ერთად, ამპლიფიცირებულ იქნა მწარმოებლის მიერ მოწოდებული ადამიანის ცნობილი გენეტიკური პროფილის დნმ, როგორც პოზიტიური კონტროლი, პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციისა და ელექტროფორეზის სისტემის სწორად წარმართვის

შესამოწმებლად.

დნმ ანალიზის მთელი პროცესი მიმდინარეობდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ეკატერინე სხირტლაძე

## გამოყენებული მასალები

1. STR პროტოკოლების სახელმძღვანელო (DNA-TM), 2019, ვერსია 2.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ნინო ყოჩიაშვილი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ნინო ყოჩიაშვილი